

სს ბანკი ქართუს (შემდგომში - ბანკი) საბარათე ინსტრუმენტით

საბარათე ოპერაციის შესრულებისას თანხის კონვერტაციის სქემები

1. **საბარათე ინსტრუმენტი** – საგადახდო ინსტრუმენტი, მათ შორის, საგადახდო ბარათი, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი ან სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელშიც ჩაწერილია/ინტეგრირებულია შესაბამისი საგადახდო აპლიკაცია და რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიცირება;
2. **საგადახდო ბარათი (შემდგომში – ბარათი)** – ემიტენტის მიერ გამოშვებული ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტის კატეგორია, რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიცირება;
3. **საკრედიტო ბარათი - საბარათე ინსტრუმენტი**, რომელიც **ბანკთან** გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მის მფლობელს საშუალებას აძლევს **საბარათე ოპერაციები** განახორციელოს **ბანკის** მიერ მინიჭებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში, გარდა ოვერდრაფტისა.
4. **სადებეტო ბარათი - საბარათე ინსტრუმენტი**, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს **ბანკთან** გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს **საბარათე ანგარიშზე** არსებული ხელმისაწვდომი თანხები.
5. **საბარათე ოპერაცია - საბარათე ინსტრუმენტით** (მათ შორის ბარათის რეკვიზიტებით) გადახდის ან/და განაღდებას ოპერაცია.
6. **საბარათე ანგარიში - საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებული საბანკო ანგარიშ(ებ)ი.
7. **ლოკალური საბარათე ოპერაცია (OnUs) - საბარათე ოპერაცია**, რომელიც სრულება/შესრულებულია **ბანკის** საგადახდო სისტემაში ჩართული საბარათე ინფრასტრუქტურის საშუალებით.
8. **საერთაშორისო საბარათე ოპერაცია - საბარათე ოპერაცია**, რომელიც სრულება/შესრულებულია **ბანკის** საგადახდო სისტემის გარდა ნებისმიერი სხვა საბარათე ინფრასტრუქტურის საშუალებით (საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ).
9. **რეფანდის (Refund) ოპერაცია - საბარათე ოპერაციის** საფუძველზე შეძენილი პროდუქტის (საქონლის ან/და მომსახურების) უკან დაბრუნების გამო **საბარათე ოპერაციის** თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია.
10. **რევერსალის (Reversal) ოპერაცია - საბარათე ოპერაციის** გაუქმების გამო **საბარათე ოპერაციის** თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია.
11. **VISA** - საერთაშორისო საგადახდო სისტემა ვიზა (VISA International Inc.)
12. **MasterCard** - საერთაშორისო საგადახდო სისტემა მასტერქარდი (MasterCard Incorporated)
13. **ძირითადი ვალუტა** - ლარი (GEL), აშშ დოლარი (USD), ევრო (EUR)
14. **უცხოური ვალუტა** - ძირითადი ვალუტისგან განსხვავებული ნებისმიერი ვალუტა
15. **ტრანზაქციის ანგარიშსწორების დღე** - VISA/MasterCard საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღე (Central Processing Date)
16. **ლოკალური საბარათე ოპერაციების სავალუტო გაცვლითი კურსი** - ბანკის მიერ ლოკალური საბარათე ოპერაციებისათვის დადგენილი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსი;
17. **საერთაშორისო საბარათე ოპერაციების სავალუტო გაცვლითი კურსი** - ბანკის მიერ საერთაშორისო საბარათე ოპერაციებისათვის დადგენილი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსი, რაც მოიცავს:
- 17.1. **VISA საერთაშორისო საბარათე ოპერაციების სავალუტო გაცვლითი კურსი (შემდგომში: VISA კომერციული კურსი)** - ბანკის მიერ ვიზა ბარათებით განხორციელებული საერთაშორისო საბარათე ოპერაციებისათვის დადგენილი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსი.

- 17.2. **MasterCard** საერთაშორისო საბარათე ოპერაციების სავალუტო გაცვლითი კურსი (შემდგომში: MC კომერციული კურსი) - ბანკის მიერ მასტერქარდის ბარათებით განხორციელებული საერთაშორისო საბარათე ოპერაციებისათვის დადგენილი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსი.
18. **კონვერტაციის საკომისიო** - VISA ან/და MasterCard საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ დადგენილი კონვერტაციის საკომისიო;
19. **ლოკალური საბარათე ოპერაციის** შემთხვევაში:
 - 19.1. იმ შემთხვევაში, თუ ბარათით შესრულებული ოპერაცია განხორციელდა ისეთ ვალუტაში, რომელშიც კლიენტს არ გააჩნია ანგარიში ან რომელშიც კლიენტს გააჩნია ანგარიში, მაგრამ აღნიშნულ ანგარიშზე არ ირიცხება ოპერაციის ასახვისათვის საკმარისი ნაშთი - ასეთი ოპერაცია აისახება კლიენტის მიერ პირველად გახსნილ საბარათე ანგარიშზე ან ანგარიშზე, რომელზეც კლიენტს აქვს ოპერაციის განხორციელებისათვის საკმარისი ნაშთი, კონვერტაციის გზით, ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული **ლოკალური საბარათე ოპერაციების სავალუტო გაცვლითი კურსით**;
 - 19.2. **რევერსალის (Reversal) ოპერაციის** შესრულებისას **საბარათე ანგარიშზე** დაბრუნდება ზუსტად ის თანხა, რაც ჩამოიჭრა **საბარათე ოპერაციის** შესრულებისას.
 - 19.3. **რეფანდის (Refund) ოპერაციის** შესრულებისას, თანხის კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში თანხა დაკონვერტირდება 19.1 პუნქტში არსებული წესით;
 - 19.4. **საბარათე ინსტრუმენტით** სარგებლობიდან გამომდინარე, **ბანკის** მიმართ წარმოშობილი დავალიანების დაფარვის შემთხვევაში, დავალიანების დაფარვის დროს თანხის კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, **საბარათე ანგარიშზე** თანხა დაკონვერტირდება დავალიანების დაფარვის დღეს დადგენილი **ბანკის კომერციული კურსით**.
20. **საერთაშორისო საბარათე ოპერაციის** შემთხვევაში, როდესაც **საერთაშორისო საბარათე ოპერაცია** სრულდება VISA საბარათე სქემაში ჩართული (სადებეტო/საკრედიტო) **ბარათით**, კონვერტაცია სრულდება ქვემოთ მოცემული შემთხვევიდან ერთ-ერთი ან ორივე შემთხვევის კომბინაციით:
 - 20.1 განხორციელდება უცხოური ვალუტის კონვერტაცია აშშ დოლარში VISA საბარათე სქემის მიერ **ტრანზაქციის ანგარიშსწორების დღეს** დადგენილ კურსს დამატებული **კონვერტაციის საკომისიო 2%**;
 - 20.2 განხორციელდება აშშ დოლარის (საკომისიოს გათვალისწინებით) კონვერტაცია იმ ძირითად ვალუტში, რომელზეც კლიენტს აქვს ოპერაციის განხორციელებისათვის საკმარისი ნაშთი (ან კლიენტის მიერ პირველად გახსნილ საბარათე ანგარიშზე), ბანკის მიერ **ტრანზაქციის ანგარიშსწორების დღეს** დადგენილი VISA **კომერციული კურსით**;
21. **საერთაშორისო საბარათე ოპერაციის** შემთხვევაში, როდესაც **საერთაშორისო საბარათე ოპერაცია** სრულდება **MasterCard** საბარათე სქემაში ჩართული (სადებეტო/საკრედიტო) **ბარათით**, კონვერტაცია სრულდება ქვემოთ მოცემული შემთხვევიდან ერთ-ერთი ან ორივე შემთხვევის კომბინაციით:
 - 21.1. განხორციელდება უცხოური ვალუტის კონვერტაცია ევროში **MasterCard** საბარათე სქემის მიერ **ტრანზაქციის ანგარიშსწორების დღეს** დადგენილი კურსით;
 - 21.2. განხორციელდება ევროს კონვერტაცია იმ ძირითად ვალუტში, რომელზეც კლიენტს აქვს ოპერაციის განხორციელებისათვის საკმარისი ნაშთი (ან კლიენტის მიერ პირველად გახსნილ საბარათე ანგარიშზე), ბანკის მიერ **ტრანზაქციის ანგარიშსწორების დღეს** დადგენილი **MC კომერციული კურსით**;
22. **რევერსალის (Reversal) ოპერაციის** შემთხვევაში თანხა ბრუნდება იმ ვალუტის **საბარათე ანგარიშზე**, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა **საბარათე ოპერაცია**. ამასთან:
 - 22.1 თუ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** სრულ თანხაზე **საბარათე ანგარიშზე** დაბრუნდება ზუსტად ის თანხა, რაც ჩამოიჭრა **საბარათე ოპერაციის** შესრულებისას;
 - 22.2 თუ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** ნაწილ თანხაზე, მაშინ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** შესრულებისას განხორციელებული კონვერტაციის

პირობების უკუმიმართულებით. ასეთ შემთხვევაში კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.

23. რეფანდის (Refund) ოპერაციის შემთხვევაში, თუ რეფანდის (Refund) ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტაში), მაშინ:
 - 23.1. თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის აშშ დოლარი/ევრო, მაშინ რეფანდის თანხა ჩაირიცხება სავალუტო საბარათე ანგარიშზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან შესაბამისი აშშ დოლარის/ევროს ექვივალენტი სხვა არსებულ (სალარე) ანგარიშზე, რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება VISA/MasterCard საბარათე სქემის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით;
 - 23.2. თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის ნებისმიერი სხვა ვალუტაში გარდა აშშ დოლარის/ევროსი, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხის ექვივალენტი აშშ დოლარში /ევროში, ჩაირიცხება სავალუტო საბარათე ანგარიშზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან შესაბამისი აშშ დოლარის/ევროს ექვივალენტი სხვა (სალარე) საბარათე ანგარიშზე, რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება VISA/MasterCard საბარათე სქემის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

VISA საბარათე სქემის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსები შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://usa.visa.com/support/consumer/travel-support/exchange-rate-calculator.html>;

MasterCard საბარათე სქემის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსები შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://www.mastercard.us/en-us/personal/get-support/convert-currency.html>;